2021 წელს მიღებული გრანტების შესახებ ინფორმაცია

საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„საქართველოს ვიცე–პრემიერს, შინაგან საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ოპერატიული საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერებისა და საფრანგეთში მივლენილი ქართველი პოლიციელების მიღების შესახებ“ 2019 წლის 10 მაისის ადმინისტრაციული შეთანხმების საფუძველზე, საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, 2021 წელს, გრანტის სახით ჩამორიცხულ იქნა - 24 132,01 ევრო (83 542,69 ლარი). 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა - 300,49 ლარს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის მიერ გაცემული ფულადი გრანტი

„ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“-გან 2021 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გრანტის სახით ჩაერიცხა -1 205 831,00 აშშ დოლარი (4 015 296,65 ლარი). აღნიშნული თანხა გათვალისწინებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტისთვის უშიშროების აღჭურვილობის, ობიექტის და ოპერირების დაფინანსებისთვის. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა - 4 032 870,47 ლარს.